ტურიზმის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე – 2014 წლის მიმოხილვა

ნინო ლეთანძე
სტუ-ს დოქტორანტი
E-mail: nanimam@mail.ru

რეზიუმე

საქართველოსთვის ტურიზმის ყოველმხრივ განვითარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ეკონომიკური თვალსაზრისით, არამედ სახელმწიფოსა და ერის ისტორიის, კულტურული მემკვიდრეობისა და ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების პოპულარიზაციისათვის.

ქვეყანაში ტურიზმის დარგის განვითარების პოლიტიკის განსახორციელებლად საჭიროა ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პროგრამის შემუშავება, რომელიც დაეფუძნება ამ დარგის დანერგვის ინოვაციურ მეთოდებს, განვითარებულ ინფრასტრუქტურასა და საერთაშორისო სტანდარტებზე აღზრდილ პროფესიულ კადრებს.

საკვანძო სიტყვები:
საქართველო,
ტურიზმი,
მოგზაურობა,
ტურისტული ვიზიტი,
ტენდენციები.

ანგარიში მიმოიხილავს საქართველოში 2014 წლის საერთაშორისო მოგზაურების შემოსვლის ძირითად ტენდენციებს. 2014 წლის განმავლობაში საქართველოს 5 493 492 საერთაშორისო მოგზაური ეწვია, რაც 2%-ით აღემატება 2013 წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემს.

შემოსული საერთაშორისო მოგზაურების სტრუქტურა ასეთია:

ა) 2 218 050 ტურისტული ვიზიტი, რაც საერთო რაოდენობის 40,4%-ს შეადგენს (მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 7,4%);

ბ) ტრანზიტული ვიზიტები 1 110 015-ით განისაზღვრა, რაც საერთო რაოდენობის 20,2%-ია (კლება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან -6,6%);

გ) სხვა ტიპის მოგზაურების რაოდენობა 2 165 427 -ია, საერთო რაოდენობის 39,4%, (მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 1,3%).

2014 წლის სურათის განხილვა გვიჩვენებს, რომ საერთაშორისო მოგზაურთა რაოდენობის ზრდის ტენდენცია 2014 წელსაც ნარჩუნდება (+2%). ცალკეული ქვეყნები გამოირჩევა მნიშვნელოვანი ზრდის მაჩვენებლით, ასევე რამდენიმე ქვეყნიდან ფიქსირდება კლებაც.

ცვლილებებია პირველ თხუთმეტ ქვეყანას შორის:

- 2014 წლის მონაცემებით საქართველოში შემოსული საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობით კვლავ მეზობელი ქვეყნები ლიდერობენ. რომელთა წილი საერთაშორისო მოგ-

საერთაშორისო მოგზაურების შემოსვლა წლების მიხედვით



შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან (1000 აშშ დოლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ზაურების მთლიან რაოდენობაში 88%-ს შეადგენს. თურქეთი პირველ ადგილზეა საქართველოში საერთაშორისო ვიზიტორების შემოსვლის მიხედვით (1 435 822). შეიძლება ითქვას, რომ თურქეთიდან შემომსვლელების კუთხით საქართველოს ბაზარი მეტ-ნაკლებად გაჯერებულია, სწორედ ამიტომ 2014 წელს თურქეთიდან საერთაშორისო მოგზაურების სისტემატური კლება შეინიშნა. რაც შეეხება დანარჩენ მეზობელ ქვეყნებს, საერთაშორისო მოგზაურების შემოდინების მიმართულებით სომხეთი მეორე ადგილზეა 1 321 500 საერთაშორისო მოგზაურით (ზრდა 2%), მას მოსდევს აზერბაიჯანი 1 282 222 საერთაშორისო მოგზაურით (ზრდა 19%), ხოლო რუსეთი მეოთხეა მეზობელ ქვეყნებს შორის 810 233 (ზრდა 6%) მოგზაურით.

	ქვეყანა	2013	2014	ცვლილება	ცვლილება %
1	თურქეთი	1,597,438	1,435,822	-161,616	-10%
2	სომხეთი	1,291,838	1,321,500	29,662	2%
3	აზერბაიჯანი	1,075,857	1,282,222	206,365	19%
4	რუსეთი	767,396	810,233	42,837	6%
5	უკრაინა	126,797	143,157	16,360	13%
6	პოლონეთი	36,946	46,024	9,078	25%
7	ისრაელი	39,922	42,135	2,213	6%
8	ირანი	85,598	41,747	-43,851	-51%
9	გერმანია	30,815	33,315	2,500	8%
10	ყაზახეთი	21,148	28,324	7,176	34%
11	აშშ	26,713	28,101	1,388	5%
12	ერაყი	41,239	21,757	-19,482	-47%
13	საბერძნეთი	22,024	21,408	-616	-3%
14	ბელარუსი	12,915	19,100	6,185	48%
15	გაერთიანებული სამეფო	16,672	18,492	1,820	11%



➢ საქართველოში საერთაშორისო მოგზაურების შემოსვლების მიხედვით პირველ 15 ქვეყანას შორის ხვდებიან და ასევე მნიშვნელოვანი ზრდის ტენდენციით გამოირჩევიან შემდეგი ქვეყნები: უკრაინა 143 157 (ზრდა 13%), პოლონეთი 46 024 (ზრდა 25%), ყაზახეთი 28 324 (ზრდა 34%), ბელარუსი 19 100 (ზრდა 48%) და ისრაელი 42 135 (ზრდა 6%) საერთაშორისო მოგზაურით.

➢ ასევე, ზრდის ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნებიდან, სადაც საქართველოს შესახებ მოსახლეობა ნაკლებად ინფორმირებულია, საერთაშორისო მოგზაურების შემოდინების კუთხით. 2014 წლის მონაცემებით კვლავ ტრადიციულად გამოირჩნენ: ლიტვა,პოლონეთი, ლატვია და დიდი ბრიტანეთი (შესაბამისად 93%, 25%, 25% და 11%).

➢ მნიშვნელოვანი კლების ტენდენცია გრძელდება ირანიდან (-51%) და ერაყიდან (-47%). ვიზიტორთა რაოდენობის კლების მიზეზი აღნიშნულ ქვეყნებთან სავიზო რეგულაციების ცვლილებაა. საბერძნეთიდან ვიზიტორების კლება (-3%) კი შეიძლება დავუკავშიროთ თვით ამ ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ და ფინანსურ პრობლემებს. ეკონომიკური აქტივობის შენელება ცალსახად უარყოფითად მოქმედებს ამ ქვეყნის დანახარჯებზე საერთაშორისო ტურიზმზე და გამსვლელი ვიზიტორების რაოდენობაზე.

➢ 2014 წლის პირველი სამი კვარტლის მონაცემებით შემოსავალი საერთაშორისო ტურიზმიდან საქართველოში 1.4 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენდა. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ეს ინდიკატორი 5%-ით გაიზარდა.

➢ 2014 წლის პირველი სამი კვარტლის მონაცემებით სულ ტურიზმის სფეროში შექმნილი დამატებითი ღირებულება 12%-ით გაიზარდა. აღნიშნული მაჩვენებელი 2014 წლის მესამე კვარტალში, 6.2%-ია.

➢ 2014 წლის მესამე კვარტალში დასაქმებული ადამიანების რაოდენობამ ტურიზმში 180.4 ათასი შეადგინა. ყველაზე დიდი წილი დასაქმებულია ტრანსპორტის სექტორში, რომელიც მთლიანი ტურიზმის დასაქმების 59%-ს შეადგენს. სხვა მნიშვნელოვანი კონტრიბუტორები არიან სასტუმროები და რესტორნები მთლიანი ტურიზმის დასაქმების 15%-ით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ეროვნული ბანკი.
2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.
3. UNWTO, „Tourism Highlights - 2014 Edition", Madrid.
4. UNWTO, „Tourism 2030 Vision - A New Forecast", Madrid.
5. World Travel and Tourism Council, Travel and Tourism Economic Impact – Executive summary –2014, London
6. http://www.unwto.org/facts/eng/economy.htm
7. http://www.wttc.org/eng/Tourism_Research/Tourism_Economic_Research/

INFLUENCE OF TOURISM ON ECONOMY OF GEORGIA - THE REVIEW OF 2014

NINO LETANDZE
PhD of GTU
E-mail: nanimam@mail.ru

Summary

Fully development of tourism is great importance not only economically, but also the state and the nation's history, cultural heritage and traditions of the Georgian people for promotion.

Tourism development policies implemented the country's Tourism State Program for Development and this sector is implemented innovative methods, developed infrastructure and professional staff brought up to international standards.

სოციალური ეკონომიკა

XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები

(მეექვსე ნომრის დამატება)

ლექციების კურსი

შესავალი

ძვირფასო მკითხველო! თანამედროვე მსოფლიო ძალზე სწრაფად და არა ყოველთვის განჭვრეტილად ვითარდება: ანბანურად ჩვენ თვალწინ სტაბილური ეკონომიკური ზრდის ხანგრძლივი ეპოქა სტაბილური ტენდენციების და გარანტირებული შემოსავლების საფუძველზე მოულოდნელად იცვლება ტურბულენტურ მოვლენათა რიგით, როგორიცაა 2008-2009 წლების ფინანსური და ეკონომიკური კრიზისი და რიგი წამყვანი ქვეყნების შემდგომი სავალო და ბიუჯეტურ პრობლემათა ესკალაცია. ახლა შეუძლებელია დამაჯერებლობის მაღალი ხარისხით განისაზღვროს თუ რამდენად წარმატებით განვითარდება მსოფლიო და ცალკე აღებული ქვეყნის ეკონომიკა ახლო მომავალში.

ინვესტირების უწინდელი საიმედო ფინანსური ინსტიტუტები შეცვალა სახელმწიფო ობლიგაციებმა და დეპოზიტებმა წამყვანი ქვეყნების კომერციულ ბანკებში, მოდის მსოფ-ლიო ეკონომიკის ახალი მდგომარეობის აღიარება, როდესაც ერთ საათში შეიძლება დაკარგო სამთავრობო შემოსავლები (ასე მოუვიდა ბერძნული ობლიგაციების ინვესტორებს 2012 წელს) და დაკარგო უმსხვილეს ეროვნულ ბანკებზე მართვაში გადაცემული აქტივების ნაწილი ან მთელი რაოდენობა. სამრეწველო წარმოება თავის ყოფილ პრიორიტეტს უთმობს საინფორმაციო ტექნოლოგიებს, ხოლო ფასწარმოქმნა უმნიშვნელოვანეს სანედლეულო საქონელზე იმდენად განუჭვრეტელი ხდება, რომ ნავთობის, ბუნებრივი აირის, მარცვლეულის და ლითონების თანამედროვე ბაზრებზე შეიძლება როგორც სწრაფად შექმნა მთელი ქონება, ისე ძალიან სწრაფად გაღარიბდე. გარდა ამისა, ხდება ძალთა ახალი გადანაწილება ეკონომიკური ხელისუფლების ცენტრებს შორის მსოფლიოში: აშშ-ის, იაპონიის და დასავლეთი ევროპის მრავალი ქვეყნის ხანგრძლივ და დამაჯერებელ ლიდერობას პლანეტის ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში ცვლის გლობალური დონის ახალი მოთამაშეები, რომლებიც ჯერ კოდევ ფლობენ განვითარებად ეკონომიკათა სტატუსს (აქ, პირველ რიგში. უნდა დავასახელოთ ჩინეთი).

ავსტრალიური და კანადური დოლარი, ხოლო პერსპექტივაში ჩინური იუანი თანდათანობით ავიწროებენ დოლარს და ევროს, როგორც წარსულში ყველაზე უფრო საკვანძო სარეზერვო ვალუტებს. მომენტალურად, ანბანურად ონლაინ რეჟიმში მსოფლიოს ფინანსურ რუკიდან ქრება (იკარგება) ახლო წარსულში საკმაოდ მსხვილი ოფშორული ფინანსური ცენტრები (ასე მოუვიდა 2008 წელს ირლანდიას და 2013 წელს კვიპროსს), ხოლო გლობალური ინვესტორები ფასების განუჭვრეტელობის პირობებში სანედლეულო აქტივებზე, უძრავი ქონების გაუფასურებისას, შემოსავლიანობის დაცემისას ფასიანი ქაღალდების და დერივატივების ბაზრებზე და ა.შ. ძალზე ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან თავიანთი შემდგომი რაციონალური ქმედებების თვალსაზრისით. ყველაფერი ეს მხოლოდ ხაზს უსვამს რამდენად მარტივია თანამედროვე მსოფლიო, რამდენად ძნელი ხდება მასში მეწარმეობით საქმიანობაში მუშაობა.

ამასთან თანამედროვე ეკონომიკური განვითარება ახალ შესაძლებლობებს ქმნის: ბიზნესის გლობალიზაცია და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საყოველთაო გავრცელება არსებითად ამარტივებს კომპანიების გასვლას მათი იურისდიქციის ფარგლებს გარეთ, ხელს უწყობს ინდივიდუალურ მეურნე სუბიექტებსაც აქტიურად ჩაერთონ მეწარმეობით საქმიანობაში, რომლებიც შეიძლება იყვნენ როგორც კერძო ინვესტორები, ისე ბიზნესის ორგანიზაციის არაკორპორირებულ ფორმათა მესაკუთრეები. არსებობს მრავალი მაგალითები ბიზნესპრაქტიკიდან, რომლებიც ადასტურებენ, რომ მსოფლიო ეკონომიკის ახალი არასტაბილური მდგომარეობისაგან, რომლისთვისაც დამახასიათებელია სხვადასხვა კოლაფსები, შეიძლება არა მხოლოდ წაგება, არამედ მოგებაც.

2008-2009 წწ. საფინანსო-ეკონომიკური კრიზისების დროს სანედლეულო, სამრეწველო და მაღალტექნოლოგიურ კომპანიათა სახით ევროპაში, აშშ-ს, აზიასა და ოკეანეთში ახალი აქტივები შეიძინა ჩინეთმა, ხოლო ნავთობისა და ბუნებრივი აირის მაღალი ფასების და დაგროვილი ფინანსური რესურსების წყალობით სერიოზული გლობალური მოთამაშე სხვადასხვა ბაზარზე გახდა რუსეთიც.

ცხადია, თითოეული კომპანია საქმიანობის ყოველ სფეროში ცდილობს იყოს საერთაშორისო: ეს ახალი ბაზრებია, ახალი დამატებითი შემოსავლები და პრესტიჟია. მაგრამ ყოველი ფირმა როდი ახერხებს გახდეს მსოფლიო დონის წარმატებული მოთამაშე. ზოგჯერ უცხოურ ბაზრებზე გასვლისას დაიშვება უხეში შეცდომები და ახლო წარსულში წარმატებული თავის ეროვნულ ბაზარზე კომპანია კოტრდება სწორედ საერთაშორისო ბიზნესოპერაციათა მიზეზით, ამიტომ მკაფიოდ უნდა წარმოვიდგინოთ რა შემთხვევებშია მისაღები საერთაშორისო ბიზნესი და როდის უნდა შევიკავოთ თავი საქმიანი აქტიურობისაგან საზღვარგარეთ.

ჩვენი შესწავლის საგანია კომერციული ხასიათის ოპერაციები, რომელთაც ახორციელებენ როგორც სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის კერძო მეწარმეობითი სტრუქტურები, ისე სახელმწიფო კომპანიები-სხვადასხვა ეროვნულ ეკონომიკათა სუბიექტები თანამედროვე მსოფლიო სამეურნეო კავშირების ფარგლებში. ლექციების კურსის თეორიულ ბაზას შეადგენს საერთაშორისო ბიზნესის, საერთაშორისო მარკეტინგის, საერთაშორისო სტრატეგიის, საერთაშორისო კონკურენციის, საერთაშორისო ვაჭრობის, საერთაშორისო ინვესტიციების საერთაშორისო ფინანსური ბაზრების ყველაზე უფრო პოპულარული და მოთხოვნადი თეორიები. ლექციების კურსის საინფორმაციო ბაზას შეადგენს წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციების სტატისტიკური მონაცემები და (ისეთის, როგორიცაა მსოფლიო ბანკი, მსოფლიო სავალუტო ფონდი, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია) და ეროვნული სტატისტიკური სამსახურებისა და საგარეოეკონომიკური საქმიანობის მართვის ორგანოთა მასალები, და ასევე რიგ ავტორიტეტულ კერძო ანალიტიკურ და საერთაშორისო დონის საკონსულტაციო კომპანიათა მასალები. გარდა ამისა, გამოყენებულია წამყვანი ექსპერტების შეფასებები საერთაშორისო ბიზნესის სფეროში.

ლექციების კურსი შედგენილია ა.ი. პოგორლეცკის და ს.ფ. სუტირინის სახელმძღვანელოსა და უკანასკნელ წლებში გამოსული მრავალი სხვა მდიდარი ეკონომიკური ლიტერატურის გამოყენების საფუძველზე. მართალია, იგი გამიზნულია მაგისტრატურის და დოქტორანტურის მსმენელებისათვის, მაგრამ ასევე დიდ დახმარებას გაუწევს საერთაშორისო ბიზნესის პრობლემებით დაინტერესებულ სპეციალისტთა ფართო წრეს.

ლექციების კურსის მასალების ათვისების შემდეგ შესაბამისი დარგის სპეციალისტმა უნდა:

იცოდეს

- *საერთაშორისო ბიზნესის თეორიებისა და მოდელების გამოყენების არსი, თავისებურებები და სფეროები მსოფლიო სამეურნეო კავშირების თანამედროვე სისტემაში;*
- *ურთიერთქმედების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები და სისტემები საერთაშორისო სამეწარმეო საქმიანობის სფეროში;*
- *საქონელთა (მომსახურების) წამყვანი მსოფლიო და ეროვნული ბაზრების ფუნქციონირების კანონზომიერებები და მექანიზმები და ასევე მათი შემდგომი განვითარების მიმართულებები;*
- *საგარეოეკონომიკური ოპერაციების სუბიექტების საქმიანობის ნორმატიულ-სამართლებრივი გარემო;*
- *საერთაშორისო ბიზნესის სტრატეგიული მართვის პრინციპები,მიდგომები და ლოგიკა;*
- *საგარეოეკონომიკური საქმიანობის ძირითადი მარკეტინგული კონცეფციები.*

შეეძლოს

- *თეორიული მიდგომების გამოყენება საერთაშორისო ბიზნესის სისტემაში მიმდინარე პროცესების ასახსნელად;*
- *დაასაბუთოს ბიზნესიის ინტერნაციონალიზაციის სხვადასხვა მეთოდის გამოყენების მიზანშეწონილება;*
- *შეაგროვოს, შეაფასოს და დაამუშავოს ინფორმაცია, რომელსაც შეიცავს წყაროები, როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენებზე, ანგარიშსწორებათა განსახორციელებლად მსოფლიო და ეროვნული ბაზრების ანალიზის, საწარმოს საგარეოეკონომიკური საქმიანობის სფეროში;*
- *გონივრულად გამოიყენოს საუკეთესო სამამულო და უცხოური გამოცდილება საერთაშორისო მეწარმეობით საქმიანობაში.*

ფლობდეს

- *თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ გამოცდილებას, რაც აუცილებელია გადაწყვეტილებათა ალტერნატიული ვარიანტების შემუშავებისა და მიღებისათვის საერთაშორისო ბიზნესის სფეროში;*
- *ინტერნაციონალური სამეურნეო საქმიანობის კონცეფტუალური განვითარების პროგნოზირების მეთოდიკებს; მუშაობის გამოცდილებას საერთაშორისო და ეროვნულ ნორმატიულ-სამართლებრივ დოკუმენტებთან;*
- *ტოლერანტობის, დიალოგის და თანამშრომლობის პრინციპებს უცხოური ბიზნესკულტურების წარმომადგენლებთან ურთიერთქმედებაში;*
- *შესაბამის პროფესიულ ლექსიკონს ქართულ და ინგლისურ ენებზე.*

კურსდამთავრებულს ***შეეძლება***

- *მიღებული ცოდნა, შესაძლებლობები და გამოცდილება გამოიყენოს პრაქტიკულ საქმიანობაში საერთაშორისო ბიზნესის სფეროში;*
- *შეასრულოს საგარეოეკონომიკურ ქვეგანყოფილებათა თანამშრომლის მოვალეობები და ასევე მონაწილეობა მიიღოს საკუთრების სხვადასხვა ფორმის განვითარების საგარეოეკონომიკური სტრატეგიის და ორგანიზაციულ-სამართლებრივი სტრუქტურის შემუშავებასა და რეალიზებაში.*
- *განაგრძოს თეორიული სწავლება საერთაშორისო ბიზნესის სფეროში.*